

მადიებლობის კანდიდატთა რეგისტრაციის დაწყების შესახებ

2012 წლის 20 სექტემბრიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, მასწავლებლობის მადიებლობის სახელმწიფო პროგრამის ხელშეწყობის მიზნით, აცხადებს მადიებლობის მსურველთა შესარჩევ კონკურსს.

წელს იმ ქალაქებს, სადაც 2011 წლიდან ხორციელდებოდა მადიებლობის სახელმწიფო პროგრამა, დაემატა კიდევ სამი ქალაქი და რაიონული ცენტრი - მცხეთა, ამბროლაური და დუშეთი. ამრიგად, 2012-2013 სასწავლო წელს, მასწავლებლობის მადიებლობის სახელმწიფო პროგრამა განხორციელდება ცამეტ ქალაქში- **თბილისის, გორის, თელავის, ახალციხის, ქუთაისის, ოზურგეთის, ზუგდიდის, ფოთის, ბათუმის, რუსთავის, მცხეთის, ამბროლაურისა და დუშეთის** საჯარო და კერძო სკოლებში.

მადიებლობის კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს თბილისის, გორის, თელავის, ახალციხის, ქუთაისის, ოზურგეთის, ზუგდიდის, ფოთის, ბათუმის, რუსთავის მცხეთის, ამბროლაურისა და დუშეთის რესურს-ცენტრებში და გაგრძელდება **5 ოქტომბრის ჩათვლით**.

რეგისტრაციის დასრულების შემდეგ, მადიებლობის კანდიდატები გაივლიან გასაუბრებას სკოლებში, შესარჩევ კომისიასთან. კომისია, ცენტრის რეკომენდაციის საფუძველზე, განსაზღვრავს მადიებელთა შესარჩევი კონკურსის შინაარსს, ფორმას და იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას მადიებლების შერჩევასთან დაკავშირებით.

მადიებლობის კანდიდატების მიერ რესურს-ცენტრებში წარსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი და შესაბამისი რესურსცენტრების მისამართი, გთხოვთ იხილოთ ქვემოთ:

მადიებლობის კანდიდატი რეგისტრაციის მიზნით რესურსცენტრში წარადგენს შემდეგ დოკუმენტებს:

- მასწავლებლობის მადიებლობის კანდიდატის რეგისტრაციის განაცხადი (დანართი #1);
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებულ ასლი;
- ავტობიოგრაფია (CV);
- ერთ ფოტოსურათი (ზომით 3X4);
- მასწავლებლობის მადიებლის რეგისტრაციის საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტი.

მასწავლებლობის მადიებლობის კანდიდატად რეგისტრაციის საფასური შეადგენს 25 ლარს. თანხა უნდა გადაირიცხოს „ბაზისბანკ“-ში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ანგარიშზე: სს „ბაზისბანკი“

ანგარიშის ნომერი: GE09BS0000000000234935

SWIFT: CBASGE22

მიმღები: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

საინდეტიფიკაციო კოდი: 202 374 251

დანიშნულება: მადიებლობის პროგრამაში ჩართვის რეგისტრაციის მოსაკრებელი

(აუცილებლად მიუთითონ სახელი და გვარი)

თანხის გადარიცხვა ასევე შესაძლებელია ნებისმიერი სხვა ბანკიდან.

აქვე გთავაზობთ მასწავლებლობის მაძიებლობის კანდიდატის რეგისტრაციის [განაცხადის ფორმას](#). განაცხადი უნდა შეივსოს მაძიებლობის კანდიდატის მიერ და წარდგენილი იქნას რესურს-ცენტრში შესაბამის საბუთებთან ერთად.

რეგისტრაციის საფუძველზე, მაძიებლობის კანდიდატი მონაწილეობს კონკურსში - რეგისტრაციიდან ერთი თვის განმავლობაში, მას იწვევენ ერთ-ერთ სკოლაში, სადაც სხვა კანდიდატებთან ერთად მონაწილეობს გასაუბრებაში სკოლის კომისიის წინაშე.

კომისია, რომლის შემადგენლობაში შედის სკოლის ხელმძღვანელი, სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შესაბამისი რესურს-ცენტრის წარმომადგენელი და იმ საგნის/საგნობრივი ჯგუფის მენტორი, განსაზღვრავს მაძიებელთა შესარჩევი კონკურსის შინაარსსა და ფორმას ცენტრის რეკომენდაციის საფუძველზე.

[რესურს-ცენტრების მისამართი, სადაც იწარმოებს მაძიებლობის კანდიდატთა რეგისტრაცია:](#)

ქვემოთ მოცემულ ბმულზე, გთხოვთ იხილოთ მასწავლებელთა მაძიებლობის რეგისტრაციისა და მაძიებლობის პერიოდი გავლის წესი, რომელიც განსაზღვრავს მასწავლებლობის მაძიებლის რეგისტრაციისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მაძიებლობის პერიოდის გავლის პირობებს.

„მასწავლებლობის მაძიებლის რეგისტრაციისა და მაძიებლობის პერიოდის გავლის წესი“.